რედაქცია: ფრეილინის ქუჩა, № 13. ტფილისი
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხ. გამავრცელ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., :ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13.
Редакція „Цнобисъ Пурцели".
Телефонъ № 363

## მიიღება ხელის მოწერა დამდეგის 1897 წლისათვის

ვინც ამ თავითვე წლიურად გამოიწერს, მას გაზეთი იანვრამდე მუქთად მიუვა. მიუვა აგრეთვე მუქთად საქართველოს კალენდარი 1897 წლისა.

**წლიური ფასი ექვსი მანათი.**

---

### ქართული თეატრი

1896 წ. ოთხშაბათს, 11 დეკემბერს.

ათის წლის სცენაზედ მოღვაწეობის ბენეფისი ელ. **ჩერქეზიშვილისა** ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასისაგან ქ. საფაროვ-აბაშიძისა და აბაშიძის მონაწილეობით.

წარმოდგენილ იქნება

I

## დაქცეული ოჯახი

კომ. 3 მოქ. გ. სუნდუკიანცისა

II

## დივერტისმენტი

მონაწილეობას მიიღებენ: გრ. აბაშიძე, კ. მესხი, კ. ყიფიანი პ. არაქსიანი, ადამიძე. დასასრულ ლეკური.

ანტრაქტებში დაუკრავს აზდულ-ბალი და სამხედრო მუსიკა. მომქმედნი პირნი: ქ. ქ. საფაროვ-აბაშიძისა, ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, კარგარეთლისა, ივანიძისა. ბ. ბ. აბაშიძე, მარჯანიშვილი, გამყრელიძე, კანდელაკი, ადამიძე, კარბელი, საფაროვი, თამაზიშვილი, გვარამაძე, და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ.

რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი, ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი,

---

## ზამთრის ბაღი

(თეატრის რესტორანი)

ტფილისი, სასახლის ქუჩა, სათავად აზნაურო თეატრთან.

რა გინდა სულო და გულო, რომ აქ არ იყვეს

მშვენიერსა და საუცხოვო ბუფეტში მუდმივ მზად არის ყოველგვარი საჭმელ-სასმელი

ადგილობრივ და ევროპიულ გემოზე.

საჭმელები მზადდება ყოველთვის ახალ სანოვაგედგან კარაქზედ

**ფასი ყველაფერზე იაფია, მაგალითად:**

1) სადილი 4 რიგი საჭმელისა, რუმკა არაყი, ნახევარი ბოთლი ღვინო და ფინჯანი ყავა ღირს **ერთი მანათი.**

2) სადილი 2 რიგი საჭმელისა, რუმკა არაყი და დიდი ჭიქა ღვინო **50 კაპ.**

## ბაღში ყოველ-დღე მუსიკა უკრავს

ბაღი და რესტორანი განათებულია ელექტრონის სინათლით.

გლეხულობ შეგვეთას სადილ-ვახშამზე ას და ორას პირთათვის.

იქვე რესტორანთან კერძო ოთახებში გამართულია ბილიარდები.

გიორგი ნიკ. სხირტლაძე

„Зимній садъ" притеатръ Грузинскао Дворянства.

10—ფ.—3).

---

### რედაქციისაგან

საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხიდგან, ჩვენ საკუთარ კორესპონდენტების გარდა, ხშირად მოგვდის ხოლმე გაზეთში დასაბეჭდი წერილები იმათგანაც, რომელთა ვინაობა რედაქციას არ მოეხსენება.

**გთხოვთ ასეთის წერილების ავტორებს, შეგვატყობინონ ხოლმე დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილთან ერთად თავისი სახელი, გვარი და ადრესი. წინააღმდეგ შემთხვევაში რედაქცია ამ გვარ წერილებს ვერ დაბეჭდავს.**

---

**გამგეობა ქალთა ამხანაგობისა** ამით აცხადებს, რომ კვირას, 15 დეკემბერს, საღამოს 6 საათზედ, სამეურნეო საზოგადოების დარბაზში დანიშნულია ქალთა ამხანაგობის საზოგადო კრება განსახილველად შემდეგის საგნებისა:

1. მოხსენება გამგეობისა შესახებ სამკერვალო სასწავლებლის გახსნისა.
2. მოხსენება ხაზინადარისა შესახებ შემოსავალ-გასავლის ანგარიშისა.
3. მოხსენება სარევიზიო კომისიისა შესახებ კასსის მდგომარეობისა.
4. ამორჩევა გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრებისა.

ეს კრება დანიშნულია ნაცვლად იმ კრებისა, რომელიც 5 დეკემბერს წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო არ შესდგა და ამიტომ ეს კრება კანონიერი იქნება, რამდენიც უნდა დაესწროს წევრი.

(5—1)

---

### პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—2 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**ვ. მ. ჩიქოანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო** 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. პრიტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-ისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

**ა. მ. ზუგინოვი.** 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

**ა. ზ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პრიტასევიჩი.** 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. მ. ზუგინოვი.** 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

**ა. გ. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინიგანი და კანისა.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.** (წ).

---

## სამკურნალო და ამბულატორია ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. .ბ თოფურია.**

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. ა. ბერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კობანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ა. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

ამკურნალოს დირექტორი **ს. .ბ თოფურია.**

(წ.)

Вышла изъ печати и продается новая книга:

ЭСКИЗЫ И ЭТЮДЫ

Ил. Хонели (И. Л. Бахтадзе).

Содержаніе: Отъ автора.—„Доглаури“.—Быль—Какъ „въ старину живали дѣды“.— Князь-отщепенецъ. — Рамхотъ.—Горе Исаіи.—Въ мірѣ фантазіи.—Легенда о Гандегили. — Амцуха-леки.— Смерть.—Сновидецъ.—Дервишъ.—Имеретинскій катеръ.—На цѣпи.—Кулисъ-карскій кюре.—Спасенная святыня.

ЦѢНА 1 РУБЛЬ.

Съ требованіями обращаться: въ контору редакціи „Кавказа“, въ канцелярію „Общества распространенія грамотности среди грузинъ“, а также въ книжный магазинъ г. Бѣгичева.

Въ Кутаисѣ изданіе продается въ книжныхъ магазинахъ гг. Чиладзе и Церетели.

Печатается и скоро выйдетъ въ свѣтъ брошюра того-же автора: „Къ 100-лѣтію Крцанисской битвы“.

Содержаніе:—Къ 100-лѣтію Крцанисской битвы—Знамя Азатъ-Хана.—Герой Аспиндзи предъ судомъ „Хечагога“.

цѣна 30 коп.

# დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.

(„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“).

9 დეკემბერი

**პეტერბურგი.** 9 დეკემბერს ხელმწიფე იმპერატორს მიულოცა გვირგვინის კურთხევა პეტერბურგელ იტალიელთა საქველ-მოქმედო საზოგადოების დეპუტაციამ და ადრესი მიართვა.

**ბელგრადი.** ხმები სამინისტრო კრიზისზე ტყუილი გამოდგა. საქმეში თვით მეფე ჩაერია და მისის წყალობით მთავრობის ყველა წევრნი მორიგდნენ კიდეც.

**ლონდონი.** კაიროდგან იწერებიან დეპეშით, რომ ეგვიპტეში კვლავ დაიწყო ავაზაკობა. კენეხის პროვინციაში ავაზაკები დაეცნენ ერთს სოფელს, მოჰკლეს პოლიციის უფროსი და რამდენიმე პოლიციელი და საქონელი წაასხეს.

**ფრანკ-ფურტი.** სახელმწიფო ბანკის განყოფილება კონსტანცში დროებით დაიკეტა. გეგელემ წაიღო ნახევარი მილიონი მარკა (154,000 მან.). ეს ფული უნდა გადაიხადოს კარლსრუეს კანტორის მმართველმა, რადგანაც გეგელე მხოლოდ აგენტი იყო. გეგელემ ნაღდი ფული წაიღო.

**ბელგრადი.** 8 დეკემბერს კრება ჰქონდათ 4,000 მაკედონელ სერბებს. კრებამ გადასწყვიტა, მიჰმართოს სულთანს და სთხოვოს განთავისუფლებულ იქმნას სერბეთის ეკკლესია ფანარიოტებისაგან და კვლავ დაარსებულ იქმნას პატრიარქატი იპეკში.

## კანონი და მთავრობის განკარგულება.

უმაღლესად ებოძათ წმ. ვლადიმირის ორდენი მეოთხე ხარისხისა: თიანეთის მაზრის დისტანციის უფროსს მილიციის პორუჩიკს როსტომ ავალიანს, შორაპნის მაზრის 1 განყოფილების მომრიგებელ მოსამართლეს თავ. ა. მაჩაბელს; თურგის ოლქის გამმიჯნელ განყოფილების მმართველს თავ. გ. სიდომონოვ-ერისთავს; ქუთაისის პოლიციის საქმის-მწარმოებლის თანაშემწეს ირაკლი მესხს და ერევნის მაზრის მეოთხე განყოფილების ბოქაულის მოადგილეს დეონ მელიქიშვილს.

# ახალი ამბავი

*** **არხიმანდრიტ ლეონიდის დამტკიცება.** უწმიდესი სინოდისაგან ბრძანება მოვიდა, რომლიდგანაც სჩანს, რომ არხიმანდრიტი მამა ლეონიდი დაუმტკიცებიათ საქართველო-იმერეთის სასინოდო კანტორის წევრად გარდაცვალებულის არხიმანდრიტ ნიკოლოზის მაგიერ. ამიტომ ამ დღეებში მამა ლეონიდს ფიცს მიაღებინებენ სასინოდო კანტორის საბჭოს დარბაზში ეგზარხოსისა და ყველა წევრთა თანადასწრებით.

*** **ტელეფონის კაბელი.** ნიკოლოზის (კუკიის) ხიდზედ უკვე გაიყვანეს ტელეფონის კაბელი. ზედ დიდს ხიდზედ ხუთი წვერი გაიტანეს, მხოლოდ უკანასკნელ კუთხის ბოძიდგან ცენტრალურ სადგურამდის სამი წვერი წამოიღეს და გუშინ მესამე წვერიც გაათავეს. ეხლა დარჩა მხოლოდ ჩაბმა ცენტრალ სადგურის აპპარატებთან, რის შემდეგ კუკიელ ყველა მსურველთ ტელეფონები დაედგმით. როგორც შევიტყეთ, ახლა დახურულ ბაზარშიაც აპირებენ კაბელის გაბმას, რადგან იქ ადგილი სრულებით აღარ არის ცალკე მავთულების გასაბმელად.

*** **პატრიარქი ორმანიანი** სულთანთან იყო და გამოუცხადა, რაც შემეძლება ვეცდები, რომ აღელვებული სომხები დავაწყნარო და მუდამ ვურჩევ, რომ თქვენი ერთგულნი იყვნენო. სულთანი ძლიერ მადლიერია თურმე ორმანიანისა.

ერთს კორესპონდენტს უკითხავს ორმანიანისთვის: შემატყობინეთ, როგორის აზრისა ხართ კათოლიკეთა და სომეხ-გრიგორიანთა სარწმუნოების შეთანხმებაზედო. პატრიარქმა ორმანიანმა უპასუხა: რაც-კი შემეძლება წინააღმდეგობას გავუწევ ამ შეერთებას, რადგანაც იგი სრულებით არ არის საჭიროვო. ამ სიტყვებს მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ორმანიანი უწინ კათოლიკეთა მღვდელი იყო.

*** **ქუნთრუშა.** 8 დეკემბერს, საღამოთი, კახეთის ქუჩაზედ, ავლაბარში, ქუნთრუშისაგან გარდაიცვალა არშაკ ჯავახოვის შვილი ალექსანდრე, სამის წლისა. იმავე ჯავახოვის სახლში ავად გახდა ქუნთრუშითვე კიდევ ორი ყმაწვილი: ექვსის წლის ვაჟი და 6 თვის ქალი, რომლებიც უკვე რჩებიან.

*** **სამკითხველო ავლაბარში.** კვირას, 8 დეკემბერს, ავლაბარში გაალეს იაფი სამკითხველო. სამკითხველო გაიმართა ლაზარევის ქუჩაზედ, აგარონოვის სახლში. ფასი წი-

---

ვაჭრების საყურადღებოდ.

## ორიოდე სიტყვა ქართულ წიგნების გამოცემის გამო.

(დასასრული *)

შეიძლება ვინმემ მიბრძანოს: მომავალ ამხანაგობის ძირითადი განსხვავება ის იქნება, რომ ჩვენ კარგ მიმართულებას მივცემთ ჩვენს ამხანაგობას; უფრო ენერგიულ პირებს ჩავაყენებთ საქმეშიო. მაგრამ ეს ხო მტკნარი შეცდომა იქნება! ასეთ პირობებს ხო სხვა ამხანაგობებიც იძლეოდნენ? ეს ხო იმას ემზგავსება, ერთი რუსის მწერალი რომ დაცინვით ამბობდა: „Законы святы; исполнители лихіе супостаты“-ო. ნუ-თუ ვისმეს ჰგონია, რომ ჩვენი გამომცემელ ამხანაგობების მეთაურებს საქმის სიყვარული და ენერგია აკლიათ? ეს ხო ცილის წამება იქნება? საქმე ის არის, რომ თვით მეხანიზმი, თვით ამ საქმის საძირკველი არ ვარგა. თვითონ ეს ამხანაგობის მეხანიზმია რუტინით სავსე... თუ ამის მეტი არაფერი დაედო საძირკვლად მომავალ ამხანაგობას, თუ იმანაც უკვე არსებულ ამხანაგობათა ძველ ყალიბზე ჩამოასხა თავისი მოქმედების პროგრამმა, ბოლოს ისიც ძალა-უნებურად უნდა დაადგეს უკვე არსებულ ამხანაგობათა ცნობილ გზას და ჩვენ, გონების თვალით წარმოდგენილ სასარგებლო დაწესებულების ნაცვლად, მხოლოდ ერთ საკომერციო კანტორას შევსძლევნით ქართველ საზოგადოებას და ისიც ისეთ კანტორას, რომელსაც საქონელი ათასობით ექნება და მყიდველი-კი ათობითაც არა...

ჩვენის აზრით, ამ შეცდომების თავიდან ასაცილებლად მხოლოდ ერთად-ერთი საშუალება-ღა დაგვრჩენია: თვით მკითხველ საზოგადოებასა და ინტელიგენციის შუა დამყარდეს სულიერი კავშირი; გაიბას შემაერთებელი მავთული. ამისთვის ერთად-ერთი გზა ის არის, რომ თვით მკითხველ საზოგადოებისაგან შევადგინოთ წიგნების გამომცემელი საზოგადოება, დავაარსოთ „მკითხველთა ასსოციაცია“. ავიღოთ მაგალითი: ვსთქვათ, რომ დიდად პატივცემულ ი. როსტომაშვილს 400 ხელის მომწერი ჰყავს; თვითოეული მათგანი ოთხ-ოთხ მანათს იხდის და 18 წიგნს იღებს გამომცემლისაგან **).

აქ, როგორც მკითხველიც ხედავს, უბრალო ვაჭრობაა: ერთი მხარე ჰყიდის საქონელს, ხოლო მეორე ჰყიდულობს. რა-კი ეს ყიდვა-გაყიდვა გათავდა, ამ ორ მხარეს შორის არაფერი ქონებრივი და ზნეობრივი კავშირი არ არსებობს. მყიდველს არაფერი საქმე არა აქვს გამომცემლის მოგება-წაგებასთან. არც იმას დაგიდევს იგი, თუ როგორ მიჰყავს საქმე გამომცემელს. მყიდველი არ არის ამ შემთხვევაში დაინტერესებული პირი... მკითხველ ასსოციაციის საქმე კი შემდეგ ნაირათ უნდა მოეწყოს: მომავალმა ამხანაგობამ, თუ კერძო ხელის მომწერმა, ისე უნდა დააყენოს საქმე, რომ ყოველი წლიური ხელის მომწერი, რომელიც გადაწყვეტილ ფულს შემოიტანს, ამხანაგადაც ითვლებოდეს, ესე იგი დივიდენდის მონაწილეც იყოს და ამხანაგობის გამოცემებიც ეგზავნებოდეს; ხოლო ამხანაგობამ თავიდანვე უნდა მიზნად დაიდოს ქართულ ენაზე სამეცნიერო ლიტერატურის შექმნა.

აქ მეტი უნდა იყოს იმაზე ლაპარაკი, თუ რა მაღალ-ზნეობრივი მნიშვნელობა ექმნება მკითხველ საზოგადოებისთვის ამგვარ ამხანაგობას. ეს ყოველთათვის ცხადია. ვიტყვი მხოლოდ, რომ იქ ხელის მომწერ ამხანაგს ეცოდინება, რომ ის წიგნების გამოცემიდან მოგებული ფული, რომელიც ამდენ ხანს მისთვის უსარგებლოდ, კერძო გამომცემლის ან ამხანაგობის ჯიბეში მიდიოდა, დღეს თვითონ მას, გამომცემელ ამხანაგს ეკუთვნის. მაშინ ყველა თავის საკუთარ საქმედ მიიჩნევს ამგვარ ამხანაგობას... უკვე არსებულ ამხანაგობებს კიდევ იმით ემჯობინება ამგვარი ამხანაგობა, რომ აქ ყოველი წევრი იღებს ამხანაგობის მიერ გამოცემულ წიგნებს.

ჩვენ აქ მხოლოდ სქემას ვიძლევით „მკითხველს ასოციაციის“ პროექტისას. თუ ვინმე მოისურვებს ამის განხორციელებას, მაშინ კი ვეცდებით დაწვრილებით შემუშავებული პროექტი მივაწოდოთ..

დასასრულ, არ გავჯიუტდებით და არ დავიწყებთ მტკიცებას, რომ ეს პროექტი ერთად-ერთი გზაა მიზნის მისაღწევად-თქო. იქმნება სხვამ უკეთესი საშუალება მონახოს ზემო ნაჩვენებ ნაკლის თავიდან ასაცილებლად. მაგრამ თუ მომავალი ამხანაგობა ისევ ძველი ამხანაგობის გზას დაადგა—მაშინ ჩვენც მეტი არაფერი დაგვრჩენია, რომ გულ-დაწყვეტილად არ მოვ ხსენოთ მას: მაგ გზით წასული ბევრი მინახავს და უკან დაბრუნებული კი არც ერთი თქო.

პ. პავლიძე.

*) იხ. „ცნობის ფურც.“ № 51.

**) ჩვენ აქ ბ. როსტომაშვილი იმიტომ ავიღეთ მაგალითად, რომ ხელის მოწერით წიგნების გამოცემა იმან შემოიღო ჩვენში.

გნების კითხვისათვის 2 კაპ. თვიურად 20 კაპ. სამკითხველოში მოიპოვება მრავალი რუსული და სომხური წიგნები. (ქართული? ავლაბარში ხომ ძლიერ ბევრი ქართველია!) („ტფ. ფურც.“).

⁂ **პოლიტეხნიკუმი კიევში.** კიევის ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა გადასდოს 300 ათასი მანათი კიევში საპოლიტეხნიკო ინსტიტუტის დასაარსებლათ.

⁂ **სოხუმი.** არქიელის ხოროს მგალობელი სოკოლოვი, რომელმაც სოხუმის სამოქალაქო სკოლის მასწავლებელს ანთიმოზ ჯულელს, ნივთები მოჰპარა, პოლიციამ შეიპყრო და ოთხ დღეს დაპატიმრებული ჰყავდა. ეხლა-კი გამოუშვია, თურმე, და თავისუფლად დადის სოხუმში. ასე ამბობენ, პოლიციამ იმიტომ გაანთავისუფლა, შენი ამხანაგი ქურდები იპოვნე და მოგვიყვანეო. („ნოვ. ობოზრ.“).

⁂ **ქ. ოზურგეთი.** 2 ქრისტეშობისთვეს. ამ შემოდგომაზედ აქედამ ორი მოხელე გადაიყვანეს—ერთი ჩვენებური და მეორე რუსი. პირველი—ი. მ. გ—რი, რომელიც მასწავლებლად იყო აქაურს საქალაქო სკოლაში ექვსს წელიწადს და დროის რაოდენობის მიხედვით არა მცირე სამსახური გაუწევია საზოგადოებისათვის. ასეთი კაცის აქედამ წასვლა დასაკლისია ჩვენის პაწაწა ქალაქისათვის, რომელიც მართლა რომ ღარიბია ნასწავლ და ხალხის ნამდვილ საქმით გულ-შემატკივარ პირებითა.

მეორე ახლად გადაყვანილი მოხელე როჟკოვია, ადგილობრივ დრუჟინის უფროსი. ორი კვირა არც-კი იქნება, რაც იგი დიდის ამბით გაისტუმრა აქაურმა საზოგადოებამ ყარსისაკენ, სადაც ბ. როჟკოვი პოლკის უფროსად დანიშნეს.

⁂ **ქუთაისი:** ამ მოკლე დროში, როგორც გადმოგვცეს, ახალი მოურავის ცდა-შრომის მეოხებით უეჭველად ქალაქი ეღირსება ბიბლიოთეკასო. წესდება კატალოგითურთ ამ მოკლე დროში გაიგზავნება ქუთაისის გუბერნატორთან; ბ-ნს გუბერნატორს ბიბლიოთეკის დაარსების ნება-რთვის გარდა სთხოვენ აგრეთვე, რომ მომავალის ბიბლიოთეკის მზრუნველად დაამტკიცონ აქ ყველასაგან პატივცემული და მიღებული გრ. ტ. ჯაყელი. ეს გარემოება ძლიერ სასიამოვნოა და თან სანუგეშო. ვის არ მოეხსენება, რომ რიგიანი წიგნთ-საცავი სამკითხველოთურთ ერთი უმთავრესი ფაქტორთაგანია ხალხის ბრბოს ცნობიერ წინ-სვლა-წარმატებისათვის.

⁂ **ნუკრიანი,** 5 ქრისტეშობისთვე. ეს თვე უკანასკნელი თვეა და ვადა ხარჯის აკრებისა. აი ამ თვეში შეხვდება კაცი სოფელში ჩხუბს, და ვიდარაბას და ქვრივ-ობერთა წარმოუდგენელს მწუხარებას და მდუღარე ცრემლის ღვრას ხარჯთ-მკრეფავების წყალობით.

ამას წინად სოფ. ჯიმითში მცხოვრებელი ერთი ქვრივი დედაკაცი თავისის ერთის მცირე წლოვან ობლით შიშველ-ტიტველი ტიროდა და ყველა მოხელეს შესჩიოდა თავისს გაჭირვებას. საწყალი თვითონ თხოვნით ძლივს ირჩენს თავს და ექვსი მანათი ხარჯი შეუწერიათ მისთვის. ყველა მოსამართლეებს ემუდარებოდა: შეღავათი მომეცითო, ან მიმსახურეთ და ისე მომაშორეთ ხარჯიო.

ამას წინადვე მეხარჯეები მოუცვივდნენ ნუკრიანში დროებით მცხოვრებ ერთს ღარიბსა და წვრილ-შვილიან კაცს წყალობა ადობლიშვილს, რომელსაც ჰქონდა მიცემული 13 მან. და სთხოვდნენ 7 მან. შემოხსნეს წელიდან ქამარი (ქამარს რამდენიმე ვერცხლის ბალთა ჰქონდა), მოხადეს ამ სიცივეში ნაბადი და გაუდგნენ გზას. საბრალო წყალობა შიშით თუ ბოღმით ჩავარდა ლოგინათ, შეეკრა კრიჭა და აგერ დღესაც ისევ წევს ლოგინათ უსმელ-უჭმელი. წყალობა წვრილ-შვილია, 5 პატარა ბავშვი და ცოლი ჩაჰყურებს მომაკვდავ წყალობას ლოგინში და აფრქვევენ მდუღარე ცრემლს.

⁂ **ასკანა** (ოზურ. მაზრ.) საცაა სამსახურის ვადა უსრულდება ასკანის საზოგადოებაში მამასახლისს სოლომონ ალექსანდრესძე მჭეიშვილს, რომელმაც ბევრი საქმეები გააკეთა ისეთ მივარდნილ სოფელში, როგორიც არის ჩვენი ასკანა, სადაც ერთი და ორი თანამგრძნობელია, ხოლო ასი მოწინაამდეგე და დამშლელი. ეს გარემოება ნათლად გვიმტკიცებს, თუ რა შეუძლიან მხნე და გონება გახსნილ კაცს მივარდნილ სოფელშიაც გაარიგოს მცხოვრებთა სასარგებლოდ.

აღირჩიეს თუ არა ს. მჭეიშვილი მამასახლისათ, მან მაშინვე განაცხადა უსასყიდლო სამსახური და უარჰყო ის უკანასკნელი ორი შაურიც, რომელიც კანონით ერგება მამასახლისს თითო ბეჭდის დასმაში.

პირველ ხანებშივე შეუდგა სკოლის საქმეს რიგიან დონეზე დაყენებით. დღეს მისი მეცადინეობით ასკანის საზოგადოებას აქვს ორ-კლასიანი სასწავლებელი მშვენიერ დარბაზით და საქმის მცოდნე მასწავლებლებით. რადგან წელს მთხოვნელთა რიცხვი ასზე გადაემეტა, ბ. მამასახლისი შეუდგა მეორე სახლის აგებას და კიდევაც დაიქირავა მესამე მასწავლებელი.

მუდამ-დღე ცდილობს ბ. მამასახლისი, რათა გაამჯობესოს სოფელში მიმოსვლა, რისთვისაც გაჰყავს მშვენიერი გზები, დღემდის ასკინისთვის სანატრელი.

არ დატოვა უყურადღებოთ აგრეთვე სოფლის სხვა და სხვა ზნე-ჩვეულებანი. მოსპო უჯერო და უწესო თამაშობა და დროს-გატარება; აღუკრძალა თავის თანაშემწეებს და სხვა მოხელეებს უსაქმოთ სოფელში კარდა-კარ ხეტიალი და სხვისი პურღვინით თავის რჩენა.

რაც შეეხება გონებრივ საზრდოს და ესტეტიკურ სიამოვნებას არც ამაებს აკლებს ბ. მჭეიშვილი საზოგადოებას. ხშირად მართავს ხოლმე უფასო ლიტერატურულ და მუსიკალურულ საღამოებს, რომლებში შეძლებისდაგვარათ იღებენ მონაწილეობას სკოლის ბავშვები. წელს ზაფხულში მისივე ინიციატივით ბიბლიოთეკის სასარგებლოდ ადგილობრივ სცენის მოყვარულთა წარმოადგინეს დრამა „და-ძმა“. სცენა ჩინებულად იყო მოწყობილი.

ამ ბოლო დროს ბ. მამასახლისს ჰსურს შემნახველ-გამსესხებელი კასის დაარსება, რომლისთვისაც საჭირო ნივთები უკვე დაამზადა.

უმთავრესი ღვაწლი ს. მჭეიშვილისა, რა თქმა უნდა არის ასკანის უფასო წიგნთ-საცავი. ეს ისეთი განძია ასკანაში, რომ ნახვის დროს უცხოელთაც კი წამოცდათ შემდეგი სიტყვები: „Отрадно видѣть такое явленіе въ деревняхъ“. მართლადაც რომ ასეა.—სოფელში, როგორიც არის ასკანა, კარგი სახლი (სამი ოთახი) მწერალთა, მოღვაწეთა, მეფეცა და სხვათა სურათებით მორთული, სარკიანი თაროები და უჯრები ლამაზათ ჩამწკრივებულ წიგნებით, კმაყოფილების სიამოვნებას ჰბადავს ყველა კაცის გულში. ბიბლიოთეკის კატალოგი ჯერ-ჯერობით იცავს თითო ორ-ორ ეკზემპლიარს თითქმის ყველა ქართულ წიგნებისას, ყველა ქართულ-ჟურნალ-გაზეთებს. ბევრ კარგ რუსულ წიგნებს და ათიოდე რუსულსავე ჟურნალ-გაზეთებს. რაც შეეხება წიგნის კითხვას, ხალხი თან-და-თან ეჩვევა. რას არ გაგრძნობინებს კაცს, როდესაც ფეხ-შიშველი, დაგლეჯილ-დაფლეთილი ბავშვი მოდის და გთხოვს: „რაცხა კაი წიგნი გამომირჩიეო“.

რადგან ადგილობრივი მთავრობა ღირსეული მფარველია ყველა ამგვარ მოღვაწეთა და ხალხმაც შეიგნო, თუ რა სარგებლობა მოაქვს ასეთს მამასახლისებს, იმედია, რომ ბ. მჭეიშვილი დასთანხმდება მეორე არჩევაზე, თუმცა-ღა უარს ამბობს და თუ მაინცა და მაინც არ იკისრა მამასახლისობა, ისეთი კანდიდატი მაინც მოსძებნოს ასკანის საზოგადოებამ, რომელიც, თუ ახალს რასმე ვერ შეგვძენს, იმას მაინც მოუაროს, რაც დღეს ასკანის საზოგადოებას აქვს ბ. მჭეიშვილის შრომით და გამრჯელობით.

⁂ **აბაშა:** დაბა სუჯუნაში, რომელიც ხუთი ვერსით მოშორებულია აბაშაზე, 8 დეკემბერს, შუადღის ათ საათზე ცეცხლი გაუჩნდა ერთ ურიის შენობას; ცეცხლი ისე გაძლიერდა ქარის გამოისობით, რომელიც საშინლათ ქროდა, რომ თექვსმეტი მოსახლე ურიები სულ ერთიანათ გადაიბუგა. ადგილობრივ ადმინისტრაციის წყალობით, როგორც იქნა, ცეცხლი გააქვრეს მაღაზიებამდის ცეცხლს არ მიუხწევია და როგორც იყო გადარჩა.

⁂ **სოფელ მგელ გავაზადგან** (თელავის მაზრა) გვწერენ, რომ წარსულ თვის დამლევს „ფიჩხის“ ბოგირზედ, რომელიც თხუთმეტ ვერსზეა ამავე სოფელზედ, შემდეგი საზიზღარი მკვლელობა მოხდა. ძველ გავაზის მცხოვრები სვიმონ ბასილაშვილი მოდიოდა გზაზედ, ვიღაცას თოფი ესროლა, ტყვია მოხვდა იღლიაში და შემდეგ ხანჯლით ყელი გამოეჭრა; მერე შემჯდარა ცხენზედ და არხეინად გასდგომია გზას. ამბობენ, რომ მკვლელი თათარიაო, რომელიც ბოქაულს ჯორჯაძეს შეუპყრია და გაუგზავნია სიღნაღის საპატიმროში.

⁂ **შეწირულება.** წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნთ-საცავს შესწირა:

მთავარდიაკონმა ნ. ოქრომჭედლიშვილმა—ორი ხუცური ხელთ-ნაწერი (ორივე ნაწყვეტები).

ივანე მაჭავარიანმა—ხელთნაწერნი: 1) ქილილა და დამანა (უთავბოლო) 2) ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრება (ნაწყვეტი), 3) კარაბადინი, 4) სია თავად-აზნაურთა, რომელნიც მეფე ერეკლეს და ეკატერინე იმპერატრიცის ტრაქტატში არიან მოხსენებულნი, 5) გალობანი; და 6) დაბეჭდილი რუსული წიგნი—Путевыя записки по Дагестану въ 1861 г. П. Іоселіани.

საზოგადოების გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

⁂ **ნაერაკოფის საზოგადოება.** (სენაკის მაზრა) „ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო რომ იტყვიან, სწორედ ისე დაემართა ნაერაკოფის საზოგადოებას.

წარსულს 1895 წელს, მაისში, მდინარე რიონმა გააფუჭა რამდენსამე ქცევაზე ნათესი სიმინდი და მით მისცა საკმაო ზარალი მდინარე რიონის ნაპირის მიწის მეპატრონეებთ, გინა მუშას. იმავე წელს ოკტომბრის 28—31 რიცხვებში მდინარე რიონმავე დაარჩო მრავალი პირუტყვი და შინაური ფრინველი. ზოგს დაუნგრია ოჯახი და ყველა სახლის ავეჯი გაუფუჭა, აგრეთვე დაანგრია და წაიღო მესრები, ღობეები და ამგვარად თითოეულს კომლს ათ თუმანზე მეტი ზარალი

მისცა და დასტოვა ხალხი ულუკმა-პუროთ, სახლ-კარ დანგრეული.

ხალხი იძულებულ იქმნა, ეთხოვნა მთავრობისათვის სესხად ფული და მთავრობამ ოთხს საზოგადოებას ასესხა ფული. ამათში ნაერაკოფის საზოგადოებას 6,920 მ. 76 კაპ. ხვდა წილად, რომელიც დაურიგდა კაცის სულობაზე (სულზე მანათი და 96 კაპ.). ამასთან იმა წლის საკომლო და საგუბერნიო გარდასახადი შეჩერებულ იქმნა და არ შეუტანია, ასე რომ დიდის გაჭირვებით თავს გამოვიტანდით, მაგრამ გაჩნდა მატლი, რომელმაც 4000 ქცევაზედ ისე აჰრა სიმინდი ძირში, რომ ერთი ძირიც არ დაუტოვებია.

ყანის აღება ჩვენში კარგი იყო ამინდების წყალობით, მაგრამ რალას აიღებ, რაც არ არის? ხალხი უკიდურესს მდგომარეობაშია, არ იციან რა ქმნან და რა საშუალება მონახონ, სესხი რომ ითხოვონ, რალათ უნდათ, რომ უიმისოთაც დავალიანებულნი არიან: მათ ახლა საკომლო და საგუბერნიო გარდასახადი წარსული წლებისა გარდაუხდელი აქვსთ თოთხმეტი ათას ექვსასი მანათი და 62 კაპეიკი. მასთან სესხი ექვსი ათას ცხრაას ოცი მანათი და 76 კ. სულ ოცდა-ერთი ათას ხუთას ოცდაერთი მანათი და 38 კაპ. ამას კიდევ რომ სესხი მოუმატონ, როდის ანუ რა საშუალებით გარდაიხადონ?

3 დეკემბერს ყრილობა ჰქონდათ და ყრილობაზედ თხოვნა დასწერეს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის სახელობაზე და სთხოვეს, რათა გუბერნატორმა კეთილ-ინებოს გარდასახადი დაკლებულ იქმნესო. იმედია, რომ მთავრობა ხალხის ასეთს გაჭირებას მიაქცევს ყურადღებას და მოუკლებს გარდასახადს და თუ ამ იმედმაც გვიმტყუნა, მაშინ ხომ სულ წყალ წაღებულნი გავხდებით.

*** **ქველმოქმედი ქალის ფიურტაგო-ჰეინეს სიკვდილი.** ვენაში გარდაიცვალა გამოჩენილი ქველ მოქმედი ქალი ფიურტაგო ჰეინე, რომელმაც სულ სამის წლის განმავლობაში 30 მილიონი შესწირა სხვა და სხვა საქველმოქმედო საქმეებს. პრინცესა მიურატს და ჰერცოგს ელჰინგენისას 150 მილიონამდე ერგებათ. როგორც ფიურტაგო-ჰეინეს მემკვიდრეებს.

*** **მდიდარი სომეხი აპიკ-ეფენდი**, რომელსაც სამის წლით ციხეში დაპატიმრება გადუწყვიტეს, სულთანის ბრძანებით განთავისუფლებულ იქმნა ამ სასჯელისაგან. ციხიდგან გამოუშვეს თუ არა, აპიკ-ეფენდი სულთანთან წავიდა მადლობის მოსახსენებლად.

*** **იზეთ-ბეი.** შერიფ მექქის ძლიერ აწყენინა იზეთ-ბეიმ, რომელმაც მას ჯაშუშები მიუჩინა და მის საქციელსა და თითოეულ სიტყვას სულთანს მოახსენებდა ხოლმე. შერიფს დიდი ძალა აქვს ოსმალეთში და ამიტომ შეშინებულმა იზეთ-ბეიმ თვის მიერ დაყენებული ჯაშუშები შიგ სასახლეში მოაკვლევინა. ამ ჯაშუშების ნათესავებმა ყოველივე გამოაქვეყნეს. ოსმალეთის მოსწავლე ახალგაზდობა შერიფს მიუდგა. სულთანმაც თავისი მადლობა და თანაგრძნობა გამოუცხადა შერიფს მექქის. ამბობენ, იზეთ-ბეის ძალა სასახლეში შესამჩნევად შემცირდაო.

*** **ახირებული განცხადება.** გაზეთ «ტფი. ფურ.»-ში დაბეჭდილია: 200 მანათი მიეცემა საჩუქრად, ვინც დეპეშით შეატყობინებს დაბა რიშკანოვკაში ბელეცკის მაზრის ბოქაულს და ადგილობრივ პოლიციას, სად იმყოფება ამ ჟამად გაქცეული საქმის—მწარმოებელი, ვლადისლავ კოვალსკი, რომელმაც მოიპარა სახელმწიფო ფული, დოკუმენტები და მოატყუა და გაიტაცა გასათხოვარი ქალი. კოვალსკის ამ ნიშნებით იპოვით: სქელი კაცია, ქერა, 30 წლისა; ქალი გამხდარია, შავგვრიმანი, ცხვირზედ ხალი აქვს.

კარგი და პატიოსანი. მაგრამ რამდენი სქელი, ქერა და 30 წლის კაცი დაიარება დედა-მიწის ზურგზედ, რომელ ერთს უნდა დაადოთ ხელი. ეს ცხვირზედ ხალი-კი, ვსთქვათ, კარგი ნიშანია, მაგრამ ამ ქალსაც რომ გაქცეოდეს ის ვიღაც ვლადისლავ კოვალსკი, მაშინ ვიღა იპოვნის?

---

### პოლიციის მატიანე

9 დეკემბერს, ალექსანდრეს ქუჩაზედ, მელქუმოვის სახლთან, პოლიციელმა იპოვნა ახლად დაბადებული ბავშვი, რომელიც საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

---

### თეატრის მატიანე.

**ელ. ჩერქეზიშვილის ბენეფისი.** დღეს, ოთხშაბათს, ქართულ თეატრში დანიშნულია ე. ჩერქეზიშვილის ათი წლის სცენაზე მოღვაწეობის ბენეფისი. ელ. ჩერქეზიშვილისა სწორედ ათი წელიწადია, რაც ქართულ სცენაზე დაუღალავად და გამუდმებით სთამაშობს ეგრედ წოდებულ „კომიკურ ბებერ ქალების როლებს“ და ელ. ჩერქეზიშვილის საქებრად უნდა ითქვას, რომ საუცხოვოდაც სთამაშობს ხსენებულ როლებს და, ნ. გაბუნია-ცაგარლის შემდეგ, ბადალი არა ჰყავს ქართულ სცენაზე ამ როლებში. როგორც არტისტი ქალი, ელ. ჩერქეზიშვილისა დიდის უნარირისა და ნიჭის გარდა, მეტად სინიდისიერი და მუყაითია თავის საქმეში. ამ ხნის განმავლობაში ვერც ერთი სასტიკი კრიტიკოსი ვერ უსაყვედურებს ჩერქეზიშვილისას, რომ მას ერთხელ მაინც ან როლი არ სცოდნოდეს, ან გულგრილად მოპყრობოდეს თავის საქმეს და როდისმე გაეფუჭებინოს თავისი როლები. ეს იშვიათი და მეტად საქები ღირსება ელ. ჩერქეზიშვილისა სრულს იმედს გვაძლევს, რომ ქართველი საზოგადოება ჯეროვანის ყურადღებით მოექცევა მას ათის წლის მოღვაწეობის გამო სცენაზე და ჩვეულებრივის თანა-გრძნობით დაესწრობა ამ სადღესასწაულო წარმოდგენას.

—

**კონცერტი ქ-ნ ბორგისა.** პირველი კონცერტი გამოჩენილ მომღერალ ქალის ადელ ბორგისა ტფილისში დანიშნულია 25 დეკემბერს თავად-აზნაურთა ბანკში, ამ ჟამად ქ-ნი ბორგი როსტოვის თეატრში მღერის და მისის წყალობით თეატრს დიდი შემოსავალი აქვს თურმე.

---

### სასამართლოს მატიანე.

მომავალ წლის თებერვალში პეტერბურგის სასამართლო პალატა გაარჩევს რუსეთის საკომისიო ბანკის საქმეს. ბრალდებულად არიან: დირექტორი და გამგე ბანკისა სლეპუშკინი, მისი თანაშემწე ციონი, საბჭოს და გამგეობის წევრნი: დუხინოვი, პლოტიცინი, პეტლიხი, სვიბნოვი, კოპეგსკი, ლომტევი და სხვანი... მოწმებად მოწვეული არის 100 კაცზედ მეტი. („ნოვ.).

---


ОТКРЫТА ПОДПИСКА НА

# „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

## НА 1897 ГОДЪ

(четырнадцатый годъ изданія).

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ

съ доставкой и пересылкой:

На 12 мѣсяцевъ ..... 10 р.—к. | „ 2 „ ....... 2 „ 75 „
На 6 мѣсяцевъ....... 6 р.—к | „ 1 „ ....... 1 „ 50 “
„ 3 „ ....... 3 „ 50 „

За границу: на годъ—**17** р., на полгода—**9** р., на три мѣсяца—**5** р. Подписка принимается не иначе, какъ считая съ I-го числа любого мѣсяца.

**Для годовыхъ подписчиковъ, какъ городскихъ, такъ и иногородныхъ, обращающихся непосредственно въ контору редакціи, ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА** на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится—3 р., къ 1-му марта—2 р., къ I-му мая—3 р. и къ I-му сентября—2 р.

**Лица, подписашіяся теперь на будущій годъ, получаютъ газету безплатно въ текущемъ году со дня подписки.**

Подписка принимается: въ **Тифлисѣ**—въ редакціи „Нов, Обозр.“, Барятинская ул., № 8; въ **Баку**—въ типографіи „Арорѣ“; въ **Батумѣ**—въ книжномъ агентствѣ М. И. Николадзе; въ **Кутаисѣ**—въ кижныхъ магазинахъ Чиладзе и Бежанейшвили.

### ОТЪ РЕДАКЦІИ:

Открывая подписку на будущій годъ, редакція «Нов. Об.» считаетъ нелишнимъ заявить, что всѣ сотрудники (за немногими исключ.), которые принимали участіе въ нашей газетѣ до сихъ поръ, примутъ участіе въ ней и въ будущемъ году. Кромѣ того, намъ обѣщали сотрудничество нѣкоторые петербургскіе литераторы: Д. Н. МАМИНЪ, М. А. ПРОТОПОПОВЪ (критикъ), В. ВЕРЕСАЕВЪ (сотрудникъ «Русскаго Богатства») и др. Нашъ ЛОНДОНСКІЙ КОРРЕСПОНДЕНТЪ Л.—ВИЧЪ, временно прекратившій участіе въ „Нов. Обозр.“, въ скоромъ времени возобновитъ печатаніе у насъ своихъ политическихъ писемъ. Печатаніе СПЕЦІАЛЬНЫХЪ ТЕЛЕГРАММЪ изъ Петербурга и отчасти изъ главнѣйшихъ центровъ Закавказья будетъ продолжаться круглый годъ.

Но улучшеніе литературнаго и политическаго отдѣловъ нашей газеты не отвлечетъ насъ отъ главнѣйшей нашей задачи—отъ обсужденія МѢСТНЫХЪ, КАВКАЗСКИХЪ ВОПРОСОВЪ, стоящихъ на очереди и отъ сообщенія возможно полныхъ свѣдѣній о событіяхъ мѣстной жизни. Мы заручились постоянными корреспондентами не только въ главныхъ городахъ Кавказскаго края, но и въ нѣкоторыхъ второстепенныхъ его пунктахъ. Многое зависитъ въ данномъ случаѣ, конечно, отъ содѣйствія мѣстныхъ дѣятелей, голосъ которыхъ мы будемъ продолжать слушивать вы съ особеннымъ вниманіемъ. Пользуясь ихъ сочувствіемъ, мы по своей стороны ни минуты не будемъ забывать, что газета должна совершенствоваться съ каждымъ днемъ; мы будемъ стремиться къ тому, чтобы читающая публика получала возможно болѣе матеріала, обработаннаго и правильно освѣщеннаго, при чемъ никогда не перестанемъ руководствоваться той основной точкой зрѣнія, которая ясна для всякаго, кто внимательно слѣдитъ за нашей газетой. 6—5


Дозволено цензурою. Тифлисъ, 9-го Декабря, 1896 г· სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ხიკ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ გუნია